

Electronic Thesauri in EFL Classroom: Students' Perspectives on Representation of Color Adjectives

Gulnara Gimaletdinova, Liliia Khalitova

Kazan Federal University, Russian Federation

gim-nar@yandex.ru, liliya.halitova@kpfu.ru

Abstract: Despite the fact that there are scientific works investigating electronic dictionaries as a tool for learning / teaching English as a foreign language (EFL) (Bower & McMillan, 2007; Wang, 2012; Alharbi, 2016; Metruk, 2017), limited research has been conducted to investigate electronic thesauri (Kunze & Lemnitzer, 2002; Redkar et al, 2018; Gimaletdinova & Khalitova, 2020), moreover to seek EFL learners' perspectives on the use of electronic thesauri as a learning tool. The study investigates the educational potential of online electronic database for the English language WordNet (Miller, 1995; Fellbaum, 1998) and for the Russian language RuWordNet (Loukachevitch, 2011; Loukachevitch, Lashevich, 2016) in EFL classroom. In particular, the authors seek to know the undergraduate students' perception of the representation of color adjectives in these databases. The research data was limited to one group of color adjectives – RED / KRASNYY.

According to Wierzbicka, color is not a universal human concept (1996). Being a very ancient and culturally specific phenomenon, color terms are contained in the cultural memory of peoples who speak a particular language. Thus, color terms reflect historical ideas about the world around us, culturally specific phenomena, symbolisms and associations.

WordNet and WordNet-like thesauri are the best resources of synonyms, as nouns, verbs, adjectives and adverbs grouped into sets of cognitive synonyms. So, the researchers decided to use WordNet to enlarge students' vocabulary in EFL classroom. Additionally, we asked the students to compare English WordNet and Russian RuWordNet thesauri making focus on structure and organization of synonyms, and express overall impression / satisfaction with the content of the thesauri.

The participants of the study were 50 EFL students whose native language is Russian and who specialize in foreign (English) philology at Kazan University (Russia). The study consisted of two stages. At the first stage, the students were asked to analyze all the meanings and related synonyms for color term KRASNYY (Eng.: RED) in RuWordNet thesaurus <https://ruwordnet.ru/en/search/красный>, and for the color term RED in WordNet database <http://wordnetweb.princeton.edu/perl/webwn?s=red>. The comparison of the Russian and English databases revealed similarities and differences in the way similar concepts (color terms KRASNYY and RED) and their synonyms are used in the Russian and the English languages.

At the second stage, in order to study the functioning of color terms in speech, the participants used the national corpora of the English and the Russian languages (<http://www.natcorp.ox.ac.uk/> and <https://ruscorpora.ru/>). This allowed EFL students to compare the dictionary meanings and synonymous relations of color terms with their functioning in actual speech, study collocations with RED and KRASNYY, which contributed to broadening the linguistic horizons and sociocultural knowledge of language learners.

To collect the data and document how electronic databases can be used at EFL

classroom, we invited the participants of the study to respond to the questionnaire which consisted of 8 questions (4 close-ended and 4 open-ended ones). The following questions were suggested in the questionnaire:

1. How fully do you think the adjective „KRASNYY” is described in the RuWordNet thesaurus?

2. Do you find the description of the adjective „KRASNYY” in RuWordNet helpful for Russian language learners?

3. How fully do you think the adjective „RED” is described in the WordNet thesaurus?

4. Do you find the description of the adjective „RED” in WordNet helpful for English language learners?

5. What synonyms for the adjective „KRASNYY”, including set phrases, do you consider necessary to add to the RuWordNet thesaurus?

6. What synonyms for the adjective „RED”, including set phrases, do you consider necessary to add to the WordNet thesaurus?

7. In which of the analyzed thesauri (RuWordNet and WordNet) the description of the adjective „KRASNYY / RED” in your opinion is the most successful? Why?

8. What sources (dictionaries, thesauri, databases, etc.) did you use when answering the survey questions?

The students expressed generally positive attitudes towards the use of these thesauri for educational purposes: 47 participants out of 50 find the description of the adjective KRASNYY in RuWordNet useful for Russian language learners, and all 50 participants think that the description of the adjective RED is helpful for English language learners. At the same time, the students think that the adjectives RED and KRASNYY are not described sufficiently enough. The students noted a few challenges, for example, the fact that both WordNet and RuWordNet do not give all existing synonyms and meanings of the color adjectives KRASNYY and RED. So, responding to questions 5 and 6, the participants suggested adding into the thesauri Russian adjectives CHERVONNYY, PUNTSOVYY, KORALLOVYY, PLAMENNYY, TITSIANOVYY, BRUSNICHNYY, OGNENNY, OGNEVOY, VINNYY, RDYANIY and English adjectives BURGUNDY, BLOODY AND VERMILION. 46 participants out of 50 find the description of the adjective RED more successful in WordNet than the representation of KRASNYY in RuWordNet (question 7). Thus, we have the following opinions: „WordNet provides a more complete description of synonyms, giving examples of contextual use and demonstrating descriptions of concepts, making the thesaurus more informative, especially for English language learners. Also, I liked the relevance of the synonyms proposed by WordNet, since each option is actively used in modern English and can often be found both in colloquial speech and in writing. RuWordNet does not provide such an opportunity and shows synonyms without scope of use, without context” (Respondent #4). „WordNet is more appealing, because it provides much clearer description of the term RED, and gives more illustrative examples a person studying English as a foreign language can understand” (Respondent #7).

The study revealed that working with electronic thesauri and databases in EFL classroom solves important cognitive tasks, such as speech development, vocabulary enrichment, and language intuition. Moreover, the results of the study are of practical significance for developers of WordNet-like lexical databases and electronic thesauri.

Keywords: *EFL, WordNet, RuWordNet, color term adjectives, synonyms.*

ელექტრონული თეზაურუსები ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას: სტუდენტთა შეხედულებები ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების წარმოდგენასთან დაკავშირებით

გულნარა გიმალეტდინოვა, ლილია ხალიტოვა

ყაზანის ფედერალური უნივერსიტეტი, რუსეთის ფედერაცია

gim-nar@yandex.ru, liliya.halitova@kpfu.ru

თეზისი: მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც იკვლევენ ელექტრონულ ლექსიკონებს, როგორც პროგრამულ ინსტრუმენტებს ინგლისურის, როგორც უცხო ენის (EFL) სწავლების პროცესში (Bower & McMillan, 2007; Wang, 2012; Alharbi, 2016; Metruk, 2017), ნაკლებადაა შესწავლილი ამ თვალსაზრისით ელექტრონული თეზაურუსები და მათი სასწავლო რესურსებად გამოყენების პოტენციალი (Kunze & Lemnitzer, 2002; Redkar et al, 2018; Gimaletdinova & Khalitova, 2020). ჩვენი კვლევის მიზანი იყო შევგვესწავლა ინგლისური ენის შემსწავლელთა შეხედულებები ისეთი მონაცემთა ბაზების შესახებ, როგორცაა ინგლისური WordNet (Miller, 1995; Fellbaum, 1998) და რუსული RuWordNet-ის (Loukachevitch, 2011; Loukachevitch, Lashevich, 2016). კერძოდ, ჩვენი მიზანი იყო ონლაინ ელექტრონული მონაცემთა ბაზების საგანმანათლებლო პოტენციალის გაანალიზება ინგლისურის, როგორც უცხო ენის შესასწავლად. უფრო კონკრეტულად, ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების მოსაზრებები ამ მონაცემთა ბაზებში ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების წარმოდგენასთან დაკავშირებით. საკვლევი მონაცემები შემოიფარგლებოდა ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების ერთი ჯგუფით – RED / KRASNYY.

Wierzbicka-ს თანახმად, ფერი ადამიანებისთვის უნივერსალური ცნება არ არის (1996). როგორც უძველესი და ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი ფენომენი, ფერის აღმნიშვნელი სიტყვები შესულია კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე ხალხთა კულტურულ მენსიურებაში. ამრიგად, ფერის აღმნიშვნელი სიტყვები ასახავს ისტორიულ წარმოდგენებს ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს, კულტურისთვის დამახასიათებელი ფენომენების, სიმბოლიზმებისა და ასოციაციების შესახებ.

WordNet-ი და WordNet-ის მსგავსი თეზაურუსები სინონიმებისთვის საუკეთესო რესურსია, რადგან არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები და ზმნიზედები დაყოფილია კოგნიტიური სინონიმების ჯგუფებად. ამიტომ, მკვლევრებმა გადაწყვიტეს WordNet-ი გამოეყენებინათ ინგლისურის, როგორც უცხო ენის შემსწავლელი სტუდენტების ლექსიკის გასამდიდრებლად. გარდა ამისა, სტუდენტებს ვთხოვეთ შეედარებინათ ინგლისური WordNet-ისა და რუსული RuWordNet-ის თეზაურუსები. მათ ყურადღება უნდა გაემახვილებინათ სინონიმების სტრუქტურასა და აგებულებაზე და გამოეხატათ საერთო შთაბეჭდილება / კმაყოფილება თეზაურუსის შინაარსობრივ მხარეზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ინგლისურის, როგორც უცხო ენის შემსწავლელმა 50 სტუდენტმა, რომელთა მშობლიური ენა არის რუსული

და რომელთაც განათლება მიღებული აქვთ უცხოური (ინგლისური) ფილოლოგიის მიმართულებით ყაზანის უნივერსიტეტში (რუსეთი). კვლევა შედგებოდა ორი ეტაპისაგან: პირველ ეტაპზე, სტუდენტებს ვთხოვეთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვის KRASNYY (Eng.: RED) ყველა მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სინონიმები გაეანალიზებინათ RuWordNet თეზაურუსში <https://ruwordnet.ru/en/search/красный>, ხოლო სიტყვა RED-ისა კი WordNet-ის მონაცემთა ბაზაში <http://wordnetweb.princeton.edu/perl/webwn?s=red>. რუსული და ინგლისური ენების მონაცემთა ბაზების შედარებამ გამოავლინა მსგავსებები და განსხვავებები რუსულ და ინგლისურ ენებში მსგავსი ცნებების (ფერის აღმნიშვნელი სიტყვების KRASNYY და RED) და მათი სინონიმების გამოყენებისას.

მეორე ეტაპზე, ზეპირ მეტყველებაში ფერის აღმნიშვნელი სიტყვების დანიშნულების/ფუნქციის შესასწავლად, მონაწილეებმა გამოიყენეს ინგლისური და რუსული ენების ეროვნული კორპუსები (<http://www.natcorp.ox.ac.uk/> და <https://ruscorpora.ru/>). ინგლისური ენის შემსწავლელ სტუდენტებს ეს საშუალებას აძლევდა ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სალექსიკონო მნიშვნელობები და სინონიმური კავშირები შეედარებინათ რეალურ ზეპირ მეტყველებაში მათ ფუნქციონირებასთან, შეესწავლათ RED-ისა და KRASNYY-ის შესიტყვებები / კოლოკაციები, რამაც ხელი შეუწყო ენის შემსწავლელთა ენობრივი ჰორიზონტისა და სოციო-კულტურული ცოდნის გაფართოებას.

მონაცემების შესაგროვებლად და იმის დასადასტურებლად, თუ როგორ შეიძლება ელექტრონული მონაცემთა ბაზების გამოყენება ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას, კვლევის მონაწილეებს ვთხოვეთ შეევსოთ 8 კითხვისგან (4 დახურული და 4 ღია) შემდგარი კითხვარი. კითხვარში მოცემული იყო შემდეგი კითხვები:

1. თქვენი აზრით, რამდენად სრულად არის აღწერილი ზედსართავი სახელი „KRASNYY“ RuWordNet-ის თეზაურუსში?

2. თქვენი აზრით, რუსული ენის შემსწავლელთათვის RuWordNet-ში ზედსართავი სახელის „KRASNYY“ აღწერა სასარგებლოა?

3. თქვენი აზრით, რამდენად სრულად არის აღწერილი ზედსართავი სახელი „RED“ WordNet-ის თეზაურუსში?

4. თქვენი აზრით, ინგლისური ენის შემსწავლელთათვის WordNet-ში ზედსართავი სახელის „RED“ აღწერა სასარგებლოა?

5. თქვენი აზრით, მყარი გამონათქვამების ჩათვლით, კიდევ რომელი სინონიმები უნდა დაემატოს ზედსართავ სახელს „KRASNYY“, RuWordNet თეზაურუსში?

6. თქვენი აზრით, მყარი გამონათქვამების ჩათვლით, კიდევ რომელი სინონიმები უნდა დაემატოს ზედსართავ სახელს „RED“, WordNet თეზაურუსში?

7. თქვენი აზრით, გაანალიზებული თეზაურუსებიდან (RuWordNet and WordNet), ზედსართავი სახელის „KRASNYY / RED“ რომელი აღწერაა ყველაზე სრულყოფილი? რატომ?

8. რომელი წყაროები (ლექსიკონები, თეზაურუსები, მონაცემთა ბაზები და ა.შ.) გამოიყენეთ საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემისას?

სტუდენტებმა დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს თეზაურუსების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით. 50 მონაწილიდან 47 მიიჩნევს, რომ რუსული ენის შემსწავლელთათვის RuWordNet-ში ზედსართავი სახელის KRASNYY აღწერა სასარგებლოა,

ხოლო 50-ვე მონაწილე თვლის, რომ ზედსართავი სახელის RED აღწერა ინგლისური ენის შემსწავლელთათვის სასარგებლოა. ამავე დროს, სტუდენტები ფიქრობენ, რომ ზედსართავები RED და KRASNYY არ არის საკმარისად აღწერილი. სტუდენტებმა აღნიშნეს რამდენიმე საკითხი. მაგალითად, არც WordNet და არც RuWordNet არ იძლევა ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების KRASNYY და RED ყველა არსებულ სინონიმსა და მნიშვნელობას. ამიტომ, მე-5 და მე-6 კითხვაზე პასუხისას, მონაწილეებმა თეზაურუსში დასამატებლად მიუთითეს შემდეგი რუსული ზედსართავები: CHERVONNYY, PUNTSOVYY, KORALLOVYY, PLAMENNYY, TITSIANOVYY, BRUSNICHNYY, OGNENNYY, OGNEVOY, VINNYY, RDYANIY და ინგლისური ზედსართავები: BURGUNDY, BLOODY და VERMILION. 50-დან 46 მონაწილისთვის, ზედსართავი სახელის RED აღწერა WordNet-ში უფრო შედეგიანი აღმოჩნდა, ვიდრე KRASNYY-ისა RuWordNet-ში (მე-7 შეკითხვა). შესაბამისად, გვაქვს ასეთი მოსაზრებები: „WordNet-ი უზრუნველყოფს სინონიმების უფრო სრულ აღწერას, იძლევა კონტექსტურ მაგალითებს და წარმოაჩენს ცნებებს, რაც თეზაურუსს უფრო ინფორმაციულს ხდის, განსაკუთრებით ინგლისური ენის შემსწავლელებისთვის. ასევე, მომეწონა WordNet-ის მიერ შემოთავაზებული სინონიმების მართებულობა/აქტუალურობა, რადგან თითოეული ვარიანტი აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ინგლისურში და ხშირად გვხვდება როგორც სასაუბრო, ასევე წერილობით მეტყველებაში. RuWordNet ასეთ შესაძლებლობას არ იძლევა და სინონიმები ნაჩვენებია კონტექსტის გარეშე“ (რესპონდენტი #4). „WordNet არის მეტად საინტერესო, რადგან მასში სიტყვა RED უფრო გასაგებად არის აღწერილი და მოცემულია უფრო მეტი საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც გასაგები იქნება ინგლისურის, როგორც უცხო ენის შემსწავლელი ადამიანისთვის“ (რესპონდენტი #7).

კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრონული თეზაურუსებითა და მონაცემთა ბაზებით მუშაობა, ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას, ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან კოგნიტიურ სამუშაოს, როგორცაა მეტყველების განვითარება, ლექსიკის გამდიდრება და ენობრივი ინტუიცია. გარდა ამისა, კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს WordNet-ის მსგავსი ლექსიკური მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული თეზაურუსების შემქმნელებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *EFL, WordNet, RuWordNet, ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები, სინონიმები.*

თეზისი ქართულად თარგმნა თამარ ლალუაშვილმა